

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახანძრო
უსაფრთხოების ინსტრუქცია

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქცია (შემდგომში - „ინსტრუქცია“) შემუშავებულია „სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის № 370 დადგენილების საფუძველზე“.

2. წინამდებარე ინსტრუქცია არეგულირებს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდგომში - „უნივერსიტეტი“ ან „თსუ“) სახანძრო უსაფრთხოების ძირითად მოთხოვნებს და სავალდებულოა შესასრულებლად უნივერსიტეტის ყველა თანამშრომლისათვის დაკავებული თანამდებობისა და პროფესიის შესაბამისად.

3. პირებს, რომლებიც დაარღვევენ წინამდებარე სახანძრო უსაფრთხოების წესებს, მიუხედავად ქმედებების ხასიათისა თუ უმოქმედობისა დაეკისრებათ შესაბამისი სახის პასუხისმგებლობა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 2. დოკუმენტის მიზანი და ტერმინთა განმარტებები

1. ინსტრუქციის მთავარ მიზანს წარმოადგენს: არ დაუშვას უნივერსიტეტის თანამშრომლებისა და სტუდენტების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენება. ასევე, ინსტრუქციის მიზანია უნივერსიტეტის კუთვნილი მატერიალურ-ტექნიკური საკუთრების სახანძრო უსაფრთხოების დაცვა. ხანძარი და აფეთქება დიდ საფრთხეს უქმნის ადამიანების სიცოცხლეს, შენობებს, მატერიალურ ქონებას და სხვ. მაგრამ ბევრ შემთხვევაში მისი თავიდან აცილება ან ზარალის მინიმუმამდე შემცირება შესაძლებელია, თუ განხორციელდება წინასწარ პრევენცია და რეალური საფრთხე კარგად იქნება შეფასებული. თსუ-ის თანამშრომლები სამუშაოდ დაიშვებიან მხოლოდ სახანძრო უსაფრთხოების წესების გაცნობის შემდეგ. სახანძრო უსაფრთხოების წესების სწავლება თსუ-ში ხორციელდება ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟის ჩატარების გზით. რომელსაც ანხორციელებენ დანიშნული სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები. ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟი უნდა დადასტურდეს ხელმოწერებით ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟის აღრიცხვის ჟურნალში.

2. ინსტრუქციაში გამოყენებულ ტერმინებს ამ ინსტრუქციის მიზნებისთვის აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) სახანძრო უსაფრთხოება - ხანძრისაგან ადამიანისა და ქონების დაცულობა.

ბ) ხანძარი - უკუნიტროლო წვა, ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ზიანის მიყენება, ასევე, მატერიალური ზარალის გამომწვევი პროცესი.

გ) სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები - სოციალური და ტექნიკური ხასიათის სპეციალური

პირობები, რომლებიც შექმნილია საქართველოს მთავრობის კანონმდებლობით დადგენილი წესისა და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტების დაცვით.

დ) ხანძარსაწინააღმდეგო ზომები - ზომები, ქმედებები რომლებიც უზრუნველყოფს სახანძრო უსაფრთხოებას.

ე) ხანძარსაწინააღმდეგო რეჟიმი - ადამიანის ქცევის წესები, წარმოებისა და შენობის მოვლა-შენახვის პროცედურა, რაც უზრუნველყოფს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევის პრევენციას.

ვ) პასუხისმგებლობის სისტემა - ხანძრის პირობებში ევაკუაციის უზრუნველყოფისთვის პერსონალის მოქმედების ინსტრუქცია.

3. სახანძრო უსაფრთხოების ძირითადი ზომების გატარების პასუხისმგებლობა თსუ უნივერსიტეტის კორპუსებში ეკისრება მატერიალურად პასუხისმგებელ პირებს და სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირებს.

4. პასუხისმგებლობა სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე თსუ უნივერსიტეტის ობიექტებზე/ლოკაციებზე ეკისრებათ კონკრეტული სამსახურების, ერთეულების ხელმძღვანელებს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში.

5. სამუშაო ადგილებზე სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ყოველ თანამშრომელს (მიუხედავად სამუშაო გამოცდილებისა და პოზიციისა). პერსონალი ვალდებულია იცოდეს, მკაცრად შეასრულოს და შეინარჩუნოს სახანძრო დაცვის რეჟიმი შენობაში, რათა თავიდან იქნეს აცილებული ხანძარი, ასევე იცოდეს თავიანთი მოვალეობები ხანძრის შემთხვევაში.

6. უნივერსიტეტის შენობებს გააჩნიათ საევაკუაციო გეგმები ხანძრის შემთხვევაში პერსონალის უსაფრთხოდ ევაკუაციის მიზნით. ევაკუაციის გეგმები გამოკრულია საევაკუაციო გასასვლელებთან, სათავსებისა და დერეფნების კედლებზე ან კოლონებზე ევაკუაციის გეგმაში მითითებული ადგილის მკაცრად დაცვით.

7. სასწავლო წლის დაწყებამდე თსუ უნივერსიტეტის შენობებში ობიექტის ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს ობიექტის მზადყოფნის შემოწმება ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების ფარგლებში. შენობებში უნდა მიექცეს ყურადღება ხანძრის დროს ადამიანთა მაუწყებლობის და ევაკუაციის მართვის სისტემის გამართულ მუშაობას.

მუხლი 3. ტერიტორიების, შენობების და სათავსოების, მათ შორის საევაკუაციო გზების მოვლის წესი

1. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები ობიექტების ტერიტორიებისათვის:

ა) გასასვლელები და მისასვლელები უზრუნველყოფს სახანძრო ტექნიკის შენობა-ნაგებობებთან შეუფერხებლად მისვლის შესაძლებლობას წელიწადის ნებისმიერ დროს.

2. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები შენობა-ნაგებობებისა და სათავსებისათვის:

ა) აკრძალულია მოცულობით-გეგმარებითი გადაწყვეტების შეცვლა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ადამიანთა უსაფრთხო ევაკუაციის პირობების გაუარესება, შეაფერხოს სახანძრო უსაფრთხოების საშუალებებთან მისვლა და შეამციროს ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის ავტომატური სისტემების მოქმედების ზონა.

ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების განთავსების ადგილიდან (სადაც ისინი მუდმივად იმყოფებიან, უწყვეტლივ 2 საათზე მეტ ხანს) სათავსების, სართულების, შენობის საევაკუაციო გასასვლელებამდე მანძილი უნდა იყოს შეძლებისდაგვარად მინიმალური.

გ) ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებების განთავსების ადგილები უნდა იყოს აღნიშნული სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისი ნიშნებით.

3. აკრძალულია:

ა) საევაკუაციო გასასვლელების, მათ შორის კარების, აივნების, გარე საევაკუაციო კიბეებზე გასასვლელების ჩახერგვა ავეჯით, მოწყობილობებით და სხვა საგნებით;

ბ) ფანჯრებზე, სადაც მუდმივად (უწყვეტლივ 2 საათზე მეტ ხანს) იმყოფებიან ადამიანები, სარდაფის სათავსების ფანჯრებსა და ფანჯრების თანაორმოებზე ყრუ გისოსების დაყენება (ან უნდა შეიცვალოს ისინი გაღებადი გისოსებით).

4. მასობრივი თავშეყრის ღონისძიებების (სადამოები,საახალწლო, სპორტული, საკონცერტო, თეატრალური და სხვა წარმოდგენები) ჩატარებისას შენობა-ნაგებობებსა და სათავსებში ხანძრის დროს ადამიანთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით აკრძალულია:

ა) პიროტექნიკური ნაკეთობების, რკალური პროექტორების და სანთლების გამოყენება;

ბ) ღონისძიებების ჩატარება სათავსებში, თუ ფანჯრების გასაშლელი გისოსები ჩაკეტილია;

5. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები საევაკუაციო გზებისა და გასასვლელებისათვის:

ა) საევაკუაციო გზების და გასასვლელების ექსპლუატაციისას ინსტრუქციით უზრუნველყოფილია საევაკუაციო გზების და გასასვლელების რაოდენობის, ზომების, განათების და გეგმარებით-

მოცულობითი გადაწყვეტების დაცვა, აგრეთვე ამ გზებზე სახანძრო უსაფრთხოების ნიშნების არსებობა.

6. საევაკუაციო გზების და გასასვლელების ექსპლუატაციისას აკრძალულია:

ა) დამატებითი კარების დაყენება ან არსებული კარების გაღების მიმართულების შეცვლა, თუ ეს აფერხებს ადამიანთა თავისუფალ ევაკუაციას ან აუარესებს ევაკუაციის პირობებს;

ბ) საევაკუაციო გასასვლელების რაოდენობის შემცირება (აჭედვა, გარედან ჩაკეტვა, ამოშენება);

გ) საევაკუაციო გზების და გასასვლელების (მათ შორის, დერეფნები, კარების ღიობი) სხვადასხვა მასალით, ნაკეთობებით, მოწყობილობებით, ნარჩენებით და სხვა საგნებით ჩახერგვა.

დ) კიბის უჯრედებსა და დერეფნებში საკუჭნაოების და სამშენებლო პროექტით გათვალისწინებული სხვა სათავსების მოწყობა, აგრეთვე კიბის მარშების ქვეშ და ბაქნებზე ნივთების და სხვა მასალების შენახვა;

ე) საევაკუაციო გზების მოსაპირკეთებლად იმ მასალების გამოყენება, რომელთა სახანძრო საშიშროების მაჩვენებელი აღემატება სახანძრო უსაფრთხოების ნორმატიული დოკუმენტებით გათვალისწინებულ მაჩვენებელს;

ვ) კიბის უჯრედებში კონდენციონერების გარე ბლოკების განთავსება;

7. ერთი საევაკუაციო გასასვლელის მქონე სათავსში 50-ზე მეტი ადამიანის ერთდროული თავშეყრა დაუშვებელია.

8. საევაკუაციო გზებზე არსებული კარების გაღება გათვალისწინებული უნდა იყოს შენობიდან გასვლის მიმართულებით.

9. შენობების, სათავსების საევაკუაციო გასასვლელების კარებს, რომლებშიც მუდმივად (უწყვეტლივ 2 საათზე მეტ ხანს) იმყოფებიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, უნდა ჰქონდეთ ისეთი სახელურები და ჩამკეტები, რომლებიც იძლევიან დამატებითი ძალის გამოყენების გარეშე, ცალი ხელით კარის გაღების საშუალებას.

10. თსუ უნივერსიტეტის ტერიტორიაზე აკრძალულია მოეწყოს სახიფათო და წვადი ნარჩენების შეგროვების დამატებითი ადგილები გარდა სპეციალურად განსაზღვრული კონკრეტული ადგილისა.

11. დაუშვებელია საინჟინრო გადაწყვეტილებებით არსებული პროექტების იმდაგვარად შეცვლა რომ ხანძარსაწინააღმდეგო სისტემებზე, ცეცხლმაქრებზე, სახანძრო წყლის სისტემებზე ხელმისაწვდომობა შეიზღუდოს.

12. მასობრივი, სადღესასწაულო ღონისძიებების გამართვამდე აუცილებელია ორგანიზატორმა უზრუნველყოს შენობის დამატებით კიდევ ერთხელ დათვალიერება სახანძრო უსაფრთხოების მზადყოფნის მიზნით.

13. საახალწლო ნაძვის ხის დადგმის შემთხვევაში აუცილებელია ნაძვის ხე დაიდგას მყარ იატაკზე ისე რომ არ ჩახერგოს გასასვლელი და ჭერთან და კედლებთან მინიმუმ 1 მეტრი დაშორება ჰქონდეს.

14. დაუშვებელია დაზიანებული დანადგარებით სამუშაო პროცესის წარმართვა, რაც ხანძრის წარმოშობის ერთ-ერთი ფაქტორია.

მუხლი 4. სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებები ტექნოლოგიური პროცესების განხორციელების, დანადგარების ექსპლუატაციის, ხანძარსაშიში სამუშაოების ჩატარების დროს

1. ელექტროდანადგარებისა და ელექტროტექნიკური პროდუქტის მონტაჟი და ექსპლუატაცია, აგრეთვე ტექნიკურ მდგომარეობაზე კონტროლი ინსტრუქციით ხორციელდება საპროექტო და ქარხანა - დამამზადებლის ტექნიკური დოკუმენტაციის, სახანძრო უსაფრთხოების და ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტების მოთხოვნების შესაბამისად.

2. ელექტროდანადგარების ექსპლუატაციის დროს აკრძალულია:

ა) ელექტროფარებთან, ელექტროძრავებსა და გამშვებ აპარატურასთან წვადი (მათ შორის ადვილსაღებადი) მასალებისა და ნივთიერებების დაწყობა-შენახვა;

ბ) ელექტროსადენების და კაბელების გადაბმების და ბოლოების იზოლაციის გარეშე დატოვება;

გ) დროებითი ელექტროგაყვანილობის და ელექტროხელსაწყოების კვებისათვის დამაგრძელებელი ელექტროსადენების გამოყენება, თუ მათი დანიშნულება არ არის განპირობებული საავარიო და დროებითი სამუშაოების წარმოებით;

დ) ელექტროქსელში ჩართული ელექტროგამაცხელებელი ხელსაწყოების, აგრეთვე სხვა საყოფაცხოვრებო ელექტროხელსაწყოების უმეთვალყურეოდ დატოვება (მათ შორის,

„მოლოდინის“ რეჟიმში), გარდა ელექტროხელსაწყოებისა, რომელთა სადღეღამისო მუშაობის რეჟიმი გათვალისწინებულია ქარხანა-დამამზადებლის ინსტრუქციით;

ე) სამუშაო საათების დასრულების შემდეგ ელექტროდანადგარების და საყოფაცხოვრებო ელექტროხელსაწყოების ელექტროქსელში ჩართულ მდგომარეობაში დატოვება იმ სათავსებში, სადაც არ იმყოფება მორიგე პერსონალი, გარდა მორიგე განათებისა, ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემებისა, სხვა ელექტროდანადგარებისა და ელექტროტექნიკური ხელსაწყოებისა, რომელთა მუშაობა განპირობებულია მათი ფუნქციონალური დანიშნულებით და/ან გათვალისწინებულია მათი ექსპლუატაციის ინსტრუქციით.

3. საევაკუაციო გზებზე მოწყობილი სახანძრო უსაფრთხოების თვითმანათობელი მაჩვენებლები, როგორც ავტონომიური კვებით, ასევე ელექტროქსელში ჩართული (მათ შორის, შუქმაჩვენებლები „საევაკუაციო გასასვლელი“), უნდა იყოს მუშა და გამართულ მდგომარეობაში. მაცურებელთა, სადემონსტრაციო, საგამოფენო და სხვა დარბაზებში მათი ჩართვა აუცილებელია მხოლოდ ღონისძიებების ჩატარების დროს, ადამიანთა თავშეყრისას.

4. გათბობის და ვენტილაციის სისტემების მონტაჟი და ექსპლუატაცია, აგრეთვე მათი ტექნიკური მდგომარეობის კონტროლი უნდა განხორციელდეს საპროექტო და ქარხანა-დამამზადებლის ტექნიკური დოკუმენტაციის, სახანძრო უსაფრთხოების და ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტების მოთხოვნების შესაბამისად.

5. შენობა-ნაგებობებს, გარე ტექნოლოგიურ დანადგარებს უნდა ჰქონდეთ პროექტით გათვალისწინებული გამართული მეხდაცვა, რომლის დამიწების მოწყობილობის ელექტროწინაღობა იზომება არანაკლებ წელიწადში ერთხელ სპეციალისტების მიერ და ფორმდება შესაბამისი აქტით.

6. ცეცხლის გამოყენებასთან დაკავშირებული სამუშაოების ჩატარების ადგილები უნდა იყოს უზრუნველყოფილი ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებებით (ცეცხლმაქრი, ყუთი ქვიშითა და ნიჩბით, ვედრო წყლით).

7. აკრძალულია ცეცხლის გამოყენებასთან დაკავშირებული სამუშაოების ჩატარება შენობის ელემენტებზე, რომლებიც შესრულებულია წვადი მათბუნებლებიანი მსუბუქი ლითონის კონსტრუქციებისაგან.

8. ელექტროსაშემდღებლო დანადგარი მუშაობის დროს უნდა იყოს დამიწებული;

აკრძალულია:

ა) გამოყენება ელექტრო გაყვანილობისა და კაბელების ხილული საიზოლაციო პრობლემებით;

ბ) დაზიანებული როზეტებისა და ჩამრთველების გამოყენება;

გ) თვითნაკეთი/კუსტარული ელექტრო მოწყობილობის გამოყენება;

დ) უყურადღებოდ დატოვება ჩართულ მდგომარეობაში იმ ელექტრო მოწყობილობებისა, რომელთაც მწარმოებლის მიერ არა აქვთ განსაზღვრული 24 საათიანი სამუშაო რეჟიმი;

ე) ხანძარსაწინააღმდეგო ნიშნების, მათ შორის, საევაკუაციო გზების მანიშნებლების დაფარვა (მუდმივად ხილულ მდგომარეობაში უნდა იყვნენ განთავსებულნი);

ვ) თხევად საწვავზე მომუშავე სანათების გამოყენება;

ზ) საყოფაცხოვრებო ან სხვა მიზნით იმ წყლის მარაგის(ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოყენება, რომელიც განკუთვნილია ხანძარსაშიში სიტუაციის დროს ხანძრის ჩასაქრობათ.

9. თსუ უნივერსიტეტის შენობებში დაუშვებელია ხანძართან დაკავშირებული სამუშაოების ჩატარება შენობაში ვიზიტორების ყოფნის პერიოდში, გარდა სტაციონალური შედუღების ობიექტებისა;

10. აკრძალულია იმ შენობაში, სადაც ხდება წვადი ნივთიერებების გამოყენება, იმ პირების დაშვება, რომლებიც უშუალოდ არ მონაწილეობენ სამუშაო პროცესში;

11. წვად ნივთიერებებთან სამუშაოების დროს გამოყენებული უნდა იქნას ისეთი უსაფრთხო ინსტრუმენტი, ტანსაცმელი და ფეხსაცმელი რომლებიც ნაპერწკალს არ წარმოშობს;

12. წვად და აალებად ნივთიერებებთან მუშაობის პროცესში გამოყენებული იარაღები და აღჭურვილობა გაირეცხოს ღია სივრცეში ან ოთახში გამწოვი ვენტილაციით;

13. ხანძარსაშიში სამუშაოების ჩატარებამდე აუცილებელია სამუშაო ადგილი უზრუნველყოფილი იყოს ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებებით(მაგ: ცეცხლმაქრი);

14. ხანძარსაშიში სამუშაოთა დასრულების შემდგომ აუცილებელია გამოყენებული ინვენტარის შენახვა სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე;

15. ხანძარსაშიში სამუშაოების ჩატარებისას აკრძალულია:

- ა) სამუშაოს დაწყება დაზიანებული ხელსაწყოთი;
- ბ) გამოყენება სახიფათო და წვადი ნარჩენებით დაზინძურებული ტანსაცმლის;
- გ) შედეგების ოთახებში სახიფათო ნარჩენით დაზინძურებული ტანსაცმლის, აალებადი და წვადი ნივთიერებების შენახვა;
- დ) სამუშაოზე დაშვება გამოუცდელი პერსონალის, რომელთაც არ გააჩნიათ შესაბამისი კვალიფიკაცია;
- ე) ელექტრონული გაყვანილობის, კაბელების სიახლოვე, შეხება ბალონებთან შეკუმშული, გათხევადებული და გაჟღენთილი გაზით.

მუხლი 5. ხანძარფეთქებადსაშიში ნივთიერებების და მასალების შენახვის და ტრანსპორტირების წესი

1. თსუ უნივერსიტეტის შენობებში დაუშვებელია აალებადი, ხანძარფეთქებადი ნივთიერებების შენახვა, გარდა ამ მიზნით სპეციალურად განკუთვნილი ადგილისა;
2. საგანმანათლებლო დაწესებულებების შენობებში ქიმიური ნივთიერებების, მასალების შენახვა, ქიმიურ ლაბორატორიებში(კაბინეტებში) სასწავლო სამუშაოების ჩატარება უნდა განხორციელდეს ქვეყანაში მოქმედი „სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის № 370 დადგენილების საფუძველზე;
3. ლაბორატორიების სათავსოში აკრძალულია რეაქტივების გამოყენება, ელექტრო და სხვა გამახურებელ ხელსაწყოებთან მუშაობა ლაბორანტის ან პედაგოგის ზედამხედველობის და ხელმძღვანელობის გარეშე;
4. მეცადინეობის დამთავრების შემდეგ ლექტორი/პედაგოგი ვალდებულია უზრუნველყოს კაბინეტებიდან, ლაბორატორიებიდან და სახელოსნოებიდან ყველა ხანძარფეთქებადსაშიში ნივთიერების და მასალის გატანა მათი დროებით შენახვისთვის განკუთვნილ სათავსოში;
5. დაუშვებელია წვადი და სახიფათო ნარჩენების კონტეინერების დასაწყობება საევაკუაციო გზებზე;
6. ხანძარსაშიში ნივთიერებების კონტეინერები, ავზები უნდა იყვეს გამართულ მდგომარეობაში, რათა გამოირიცხოს მათი გაჟონვა ან გაფანტვა;
7. ტრანსპორტირების დროს დაუშვებელია მოულოდნელი დამუხრუჭება;
8. ტრანსპორტირების დროს კონტეინერები და ავზები მყარად უნდა იყვეს დამაგრებული;
9. ნივთიერებების დატვირთვის და გადმოტვირთვის ადგილები აღჭურვილი უნდა იყვეს ცეცხლის ჩაქრობის პირველადი ინდივიდუალური საშუალებებით;
10. დაუშვებელია დატვირთული ტრანსპორტის უმეთვალყურეოდ მიტოვება;
11. ტრანსპორტირების დასრულების და ტვირთის დაცლის შემდგომ აუცილებელია შემოწმდეს ავტომანქანის ძარა, ნარჩენების არსებობის შემთხვევაში მოხდეს დასუფთავება.

მუხლი 6. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები სამეცნიერო ლაბორატორიების სათავსებისათვის

1. სამეცნიერო ლაბორატორიებში კვლევის დაწყებამდე სამუშაოების ხელმძღვანელი ვალდებულია ჩაუტაროს პერსონალს ინსტრუქტაჟი სახანძრო უსაფრთხოების ზომების შესახებ.
2. ექსპერიმენტების ჩატარებისას სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ექსპერიმენტის ხელმძღვანელს.
3. ადვილაალებადი და წვადი სითხეების და წვადი ნივთიერებების მარაგი უნდა ინახებოდეს სპეციალურად მოწყობილ სათავსებში (საკნები).
4. ქიმიური რეაქტივები, რომელთა ერთმანეთთან, წყალთან და ჰაერთან ურთიერთქმედება შეიძლება გახდეს ხანძრის ან აფეთქების მიზეზი, უნდა ინახებოდეს ცალ-ცალკე, შესაბამის შეფუთვაში, უწყ კარადებში. ქილებზე, ბოთლებსა და სხვა შეფუთვებზე, სადაც ინახება ქიმიური რეაქტივები და ნივთიერებები უნდა იყოს წარწერები დამახასიათებელი საშიშროების აღნიშვნით: „ხანძარსაშიში“, „ფეთქებადსაშიში“, „შხამიანი“, „ქიმიურად აქტიური“. ლაბორატორიის სათავსებში ადვილაალებადი და წვადი სითხეები და აირები სამუშაო ადგილზე უნდა მიეწოდოს შეფუთულ და მსხვრევისაგან დაცულ ტარაში.

5. ლაბორატორიის სათავსებში ყველა სამუშაო, რომელსაც თან ახლავს ფეთქებადხანძარსაშიში ორთქლის და აირის გამოყოფა, უნდა ჩატარდეს გამწოვ კარადებში. აკრძალულია სამუშაოების ჩატარება გამწოვ კარადებში, რომლებსაც აქვთ გაუმართავი ვენტილაცია.

6. გამწოვ კარადებში უნდა იყოს გათვალისწინებული ჰაერის ზედა და ქვედა გაწოვა, თუ ჩატარებულ სამუშაოებს თან ახლავს ხანძარფეთქებადსაშიში ორთქლისა და აირების გამოყოფა.

7. ლაბორატორიის მაგიდები და გამწოვი კარადები, რომლებიც განკუთვნილია ადვილაალებად და წვად სითხეებსა და წვად აირებთან, აგრეთვე ხანძარფეთქებადსაშიში ნივთიერებებთან სამუშაოდ, უნდა იყოს შესრულებული უწყვი მასალებისაგან.

8. ადვილაალებადი და წვადი სითხეების კანალიზაციაში ჩაღვრა დაუშვებელია.

9. ხანძარსაშიში სათავსებსა და ხანძარფეთქებადსაშიში მოწყობილობებზე უნდა იყოს გამოკრული ღია ცეცხლის გამოყენების ამკრძალავი სახანძრო უსაფრთხოების ნიშნები.

10. წითელი ფოსფორი უნდა ინახებოდეს მჭიდრო საცობის ან ხუფის მქონე მინის ან ლითონის ტარაში, წყალბადის ზეჟანგი (30%- იანი) - ლითონის კონტეინერში მოთავსებულ კორპისსაცობიან მუქი ფერის მინის ჭურჭელში. წითელი ფოსფორი და წყალბადის ზეჟანგი შეიძლება ინახებოდეს ნეიტრალურ მარილებთან (კარბონატები, სულფიდები) ერთად დამჟანგველების, ლითონის ფხვნილებისა და ტუტელითონებისაგან განცალკევებით.

11. ქიმიური ნივთიერებები და მასალები უნდა ინახებოდეს ცალკე სათავსებში ჯგუფებად ფიზიკური, ქიმიური და ხანძარსაშიში თვისებების ერთგვაროვნების მიხედვით.

12. აზოტის და გოგირდმჟავას შენახვისას უნდა იყოს მიღებული ზომები, რომლებიც გამორიცხავენ მათ შეხებას ხის მასალებსა და სხვა ორგანული წარმოშობის ნივთიერებებთან.

13. სათავსებში, სადაც ინახება ხანძრის დროს გაღობის უნარის მქონე ქიმიური ნივთიერებები, უნდა იყოს გათვალისწინებული ნალღობის თავისუფალი დაღვრის შემზღუდავი საშუალებები (ქიმები, ზღურბლები).

მუხლი 7. მუშაობის დამთავრების შემდეგ შენობების დათვალიერების და დაკეტვის წესი

1. ყველა შენობა, მიუხედავად მისი დანიშნულებისა დაკეტვამდე აუცილებელია პასუხისმგებელმა პირმა დაათვალიეროს. დათვალიერება მოიცავს:

- ა) ხანძრის გაჩენის შესაძლო მიზეზების აღმოფხვრა;
- ბ) ხანძრის სწრაფი გავრცელების მიზეზების აღმოფხვრა;
- დ) მზადყოფნას ტექნიკის გამოყენებისა ცეცხლის ჩასაქრობად.

2. ყოველი სამუშაო დღის დასასრულს აუცილებელია ყველა შენობის დათვალიერება და შემოწმება:

ა) ელექტრული გამათბობლები, ელექტრული დანადგარები და აპარატურა, გამორთულია თუ არა ელექტროობიდან გარდა იმ ელექტრული დანადგარებისა, რომელიც ტექნოლოგიური პროცესის პირობების მიხედვით უნდა მუშაობდეს 24 საათის განმავლობაში;

- ბ) ელექტრო მოწყობილობებთან წვადი ნივთიერებების არსებობა;
- გ) სისუფთავე სამუშაო ადგილებზე - სახიფათო და წვადი ნარჩენებისაგან;
- დ) გასასვლელების, დერეფნების სისუფთავე;

ე) შენობის შემოწმება - არის თუა არა კვამლი, ან სპეციფიკური სუნნი;

ვ) არ უნდა ჩაიხერგოს ხანძარსაწინააღმდეგო სისტემებთან მისასვლელები;

ზ) არსებულ ნაკლოვანებებზე რომელიც ვერ აღმოიფხვრა აუცილებლად შეტყობინება შესაბამის ხელმძღვანელ პირზე;

3. შენობა შეიძლება დაიკეტოს მხოლოდ დათვალიერებისა და ხანძარსაშიში(ასეთის არსებობის შემთხვევაში) ხარვეზების აღმოფხვრის შემდგომ.

მუხლი 8. თამბაქოს მოწევის და ხანძარსაშიში სამუშაოების (მათ შორის, დროებითი) ჩატარების ადგილები

1. დაუშვებელია თამბაქოს მოწევა თსუ უნივერსიტეტის შენობებში კონკრეტულად სპეციალურად გამოყოფილი ადგილის გარდა, სადაც იქნება თამბაქოს მოწევის შესაბამისი მანიშნებელი;

2. ხანძარსაშიში სამუშაოების ჩატარების ადგილი(მათ შორის დროებითი) განისაზღვროს თსუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ცალკე ბრძანებით სახანძრო უსაფრთხოების ზომების აუცილებელი გათვალისწინებით.

მუხლი 9. წვადი ნივთიერებების და მასალების შეგროვების, შენახვის და გატანის, აგრეთვე სპეცტანსაცმლის მოვლის და შენახვის წესი

1. გამოყენებული საწმენდი საშუალებების, წვადი ნივთიერებების და მასალების შეგროვება უნდა მოხდეს სპეციალური კონტეინერებით ან ავზებით(შესაბამისი თავსახურებით). ისინი უნდა განთავსდეს, მათთვის გამოყოფილ სპეციალურ ადგილას.

2. ზეთებთან, ლაქებთან, საღებავებთან და სხვა ადვილად ალუბად და წვად სითხეებთან მომუშავე პირთა სპეცტანსაცმელი უნდა ინახებოდეს ამ მიზნისათვის სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში მოწყობილ ლითონის კარადებში. დასაშვებია ხის კარადების გამოყენება, თუ ისინი დამუშავებული იქნებიან ანტიპირენებით (ცეცხლსაწინააღმდეგო ნივთიერება).

მუხლი 10. ხანძრის შემთხვევაში პერსონალის მოვალეობები და მოქმედებები, მათ შორის სახანძრო-სამაშველო დანაყოფის გამოძახების წესი

1. ხანძრის შემთხვევაში უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის, თსუ დაცვისა და უსაფრთხოების თანამშრომლის ან/და სახანძრო უსაფრთხოების პასუხისმგებელი პირი ვალდებულია:

ა) ხანძრის გაჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ შეატყობინოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს (112);

ბ) ორგანიზება გაუწიოს მოქმედებებს ხანძრის აღმოფხვრისა და მისი განვითარების პრევენციის აუცილებელი ღონისძიებების განხორციელების მიზნით;

გ) შეაჩეროს მთელი სამუშაო პროცესი, გარდა ხანძრის აღმოფხვრის სამუშაოებთან დაკავშირებული მოქმედებებისა;

დ) პერსონალის ჯამრთელობასა თუ სიცოცხლეზე საფრთხის შემთხვევაში დაუყოვნებლივ გაუწიოს ორგანიზება მათ გადარჩენას არსებული ძალების მობილიზებით.

ე) ატეხოს განგაში, ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის ავტომატური სისტემების ამოქმედებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან ნებისმიერი სხვა საშუალებით;

ვ) მოახდინოს იმ თანამშრომელთა ევაკუაცია უსაფრთხო ზონაში, რომელიც არ მონაწილეობს ხანძრის ჩაქრობის პროცესში;

ზ) თუ შესაძლებელია და ეს არ უქმნის სართხეს მის ჯანმრთელობას მიიღოს ზომები ელექტრო მოწყობილობების და ა.შ ელექტრო ქსელიდან გამორთვის შესახებ;

თ) გაუწიოს ორგანიზება ხანძრის ჩაქრობის სამუშაოებს სახანძრო-სამაშველო დანაყოფის მოსვლამდე;

ი) დახვდეს სახანძრო-სამაშველო ბრიგადას და პირველადი ინფორმაცია მიაწოდოს არსებული სიტუაციისა და ობიექტის შესახებ;

კ) მზად იყოს შემდგომი დახმარებისათვის სახანძრო-სამაშველო სამსახურის თანამშრომლებისათვის;

2. ხანძრის შემთხვევაში, თსუ უნივერსიტეტის თითოეული თანამშრომლის პირველადი მოვალეობაა:

ა) დაუყოვნებლივ შეატყობინოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს (112) და მიაწოდეს შესაბამისი ინფორმაცია ობიექტის შესახებ;

ბ) მოუწოდოს პერსონალს არ მიეცენ პანიკას და დატოვონ ადგილმდებარეობა რამდენადაც შესაძლებელია სწრაფად. დაუყოვნებლივ შეატყობინოს ყველა თანამშრომელს და, უპირველეს ყოვლისა, ორგანიზაციის ხელმძღვანელობას, ასევე ობიექტის დაცვის სამსახურს, ატეხოს განგაში საგანგაშო ღილაკით ან ხელის ხანძრის მაუწყებლით;

გ) დარწმუნდნენ, რომ უსაფრთხოების მნიშვნელოვანი ზომა - როგორცაა ცეცხლგამძლე სეიფების დაკეტვა დასრულებულია;

დ) შეამოწმონ და დარწმუნდნენ იმაში, რომ მთელმა პერსონალმა დატოვა საშიში არეალი საპირფარეშოებისა და საწყობების ჩათვლით;

ე) გამორთონ ელექტროაპარატურა, დაკეტონ ფანჯრები და კარები თუ ამის გაკეთება უსაფრთხოა,
ვ) იჩქარონ შეკრების ადგილისაკენ და მიაწოდონ ინფორმაცია მომხდარის შესახებ მთელ პერსონალს;

ზ) დარწმუნდეს იმაში, რომ არცერთი თანამშრომელი არ დაბრუნდეს შენობაში, ვიდრე ხელმძღვანელი/სახანძრო უსაფრთხოების ოფიცერი არ გასცემს ნებართვას;

თ) საჭიროების შემთხვევაში გამოიძახოს სამედიცინო დახმარების სამსახური.

2. ხანძრის შემთხვევაში თსუ უნივერსიტეტის შენობებში მყოფთა ქმედება;

ყველა ვინც აღმოაჩენს კვამლს, წვის სუნს ან სხვა ხანძრისათვის დამახასიათებელ ნიშანს ვალდებულია:

ა) დაუყოვნებლივ შეატყობინოს ყველა თანამშრომელს და, უპირველეს ყოვლისა, ორგანიზაციის ხელმძღვანელობას, ასევე ობიექტის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურს, ატეხოს განგაში საგანგაშო ღილაკით ან ხელის ხანძრის მაუწყებლით;

ბ) დაუყოვნებლივ შეატყობინოს საგანგებო სიტუაციების მმართვეის სამსახურს (112) და მიაწოდოს შესაბამისი ინფორმაცია ობიექტის შესახებ;

გ) არსებული სიტუაციის გათვალისწინებით განსაზღვროს ევაკუაციისათვის უსაფრთოდ გასვლის მარშუტი;

დ) სამუშაო ადგილზე თუ ეს შესაძლებელია და მის სიცოცხლეს არ უქმნის საფრთხეს გამორთოს ელექტრო მოწყობილობები;

ე) საევაკუაციო გზით გაემართოს დადგენილი შეკრების ადგილისაკენ და დაელოდოს ზემდგომის(სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის) შემდგომ მითითებას;

ვ) არ დატოვოს შეკრების ადგილი, ვიდრე ხელმძღვანელი არ მიაწვდის ინფორმაციას სრული უსაფრთხოების შესახებ.